


**დათბუნება სილიკონის ჰერმეტიკით დათბუნება სილიკონის ჰერმეტიკით**

სამუშაოებისთვის დაგჭირდებათ ჰერმეტიკი (სილიკონი) და სპეციალური შპრიცი (პისტოლეტი). სამუშაოებისთვის ჯობია გამოიყენოთ გამჭვირვალე ჰერმეტიკი, რათა მისი მინაზე უნებლიედ მოხვედრის შემთხვევაში შეუმჩნეველი დარჩეს. სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ◆ ფანჯრიდან ხდება მინების ამოღება;
- ◆ მინების მიმაგრების ადგილები ინმინდება დაგროვილი ჭუჭყისგან;
- ◆ მიმაგრების ადგილებს ესმევა სილიკონი;
- ◆ ამოღებული მინა ჯდება თავის ადგილზე და მაგრდება შტაპიკებით.



**დამატებითი მინის ჩასმა**

ფანჯრის ალათაში არსებული მინიდან 0.5-1,0 სმ დაცილებით ღარის ამოჭრა და მეორე მინის ჩასმა, ქმნის მინა პაკეტის ეფექტს

ბროშურა მომზადებულია პროექტი “ აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა” ფარგლებში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ის „დაცული ტერიტორიების დაცვის სააგენტოს“ ხელშეწყობით.



ბროშურა მომზადებულია კავშირი “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს” მიერ




დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:  
 თბილისი, 0160, დ. გამრეკელის ქ. #19  
 ოფისი #611, VI სართული  
 ტელ.: +995 32 224 25 40, 224 25 41,  
 ფაქსი: +995 32 224 25 42  
 ელ. ფოსტა: eecgeo@eecgeo.org  
 ვებ. გვერდი: www.eecgeo.org

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

# სახლის დათბუნება პარსივად



ხშირად შენობების უმეტესობას დაზიანებული აქვს სახურავი, ფანჯრები, კედლები და იატაკი. ეს დაზიანებები კი ენერჯის დიდი დანაკარგების ძირითადი მიზეზია.



კარ-ფანჯრიდან გამთბარი ჰაერის გადინების კერებია: ფანჯრის ალათასა და მინას შორის, კარ-ფანჯრის ჩარჩოს/ალათის შეერთებისა და მისი კედელთან გადაბმის ადგილები. ძველი ფანჯრების შეცვლა ახალი მეტალო პლასტმასის ორმაგი შემინვის ფანჯრებით ძვირად ღირებული ღონისძიებაა, თითქმის იმავე შედეგის მიღწევა შესაძლებელია უფრო იაფი ღონისძიებების საშუალებითაც.

**კარ-ფანჯრის დაგმანვის მარტივი და ხელმისაწვდომი ღონისძიებები**

**ქალაქით დათბუნება**

ქალაქით დათბუნება - ხის ფანჯრების დათბუნება სწრაფად და იაფად შესაძლებელია გაზეთებით ან ქალაქით. ჭურჭელში მოთავსებულ ქალაქის ნაკუნებს ესხმევა წყალი. მიღებული პასტისებრი მასით შესაძლებელია ღრიჩოების ამოვსება. შრობისას ეს მასა გამაგრდება და საიმედო შემამჭირდოვებლად იქცევა. თუ ქალაქის მასაში დავამატებთ ცარცსა და ხორბლის ფქვილს, მივიღებთ უფრო საიმედო შემავსებელს, რომელიც ადვილად მოცილებადია ფანჯრის ჩარჩოებიდან.

**დათბუნება ბამბით და ქსოვილის ზოლებით**

თუ გაქვთ ბამბა და ქსოვილის ან ქალაქის ზოლები გამოიყენეთ ისინი დასათბუნებლად შემდეგნაირად: ტექნიკური ბამბით თხელი დანის მეშვეობით ამოავსეთ ღრიჩოები და ზემოდან დაანებეთ ქალაქის ან ქსოვილის ზოლები. ნებოს მაგივრად შეიძლება გამოიყენოთ ჩვეულებრივი საპონი.

სამუშაოების უფრო სწრაფად ჩასატარებლად შესაძლებელია ქალაქის ნებოვანი ლენტის (სკოჩი) გამოიყენება

**დათბუნება პარალონით და ნებოვანი ლენტით**

პარალონი დაჭერით ზოლებად და ჩატენთ ყველა ღრიჩოში. ზემოდან დაანებეთ ნებოვანი ლენტი. სამუშაოები ტარდება სწრაფად და ეფექტი საგრძნობია. მნიშვნელოვანია გამოიყენოთ ვარგისი ნებოვანი ლენტი რათა თქვენს მიერ ჩატარებული სამუშაო არ იყოს ფუჭი.



**ფანჯრის მინის დათბუნება**

ფანჯრის მინის დასათბუნებლად შესაძლებელია ისეთი ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენება, როგორცაა ყვავილების შესაფუთი გამჭვირვალე ფირი. სამუშაოების დაწყებამდე ინშინდება და შრება მინის ზედაპირი. მინისა და ჩარჩოს შეერთების ადგილები ივსება პარალონით ან ჰერმეტიკით. ფანჯრის ჩარჩოზე იკვრება ორმაგი ნებოვანი ლენტი. ჩარჩოს ზომამდე მოჭრილი ფირი ფრთხილად ენებება ლენტს.

